



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 119

15/01/2018

ქალაქი ბათუმი

119-05-4-201801151733



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი სამშენებლო მასალების მერის წარმომადგენელზე სოფელ აჭარისადმართში, სკურდიდსა და ცხემლარაში გელა მალაყმაძეზე მიმაგრების შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2017 წლის 16 ნოემბრის N3480 მომართვისა და 20 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად დარჩენილი მეორადი სამშენებლო მასალები, შემდგომში მათი მოსახლეობაზე გადაცემის. ზემოაღნიშნული მასალა დასაწყობებულია მაჭახლის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობაში. მითითებული მეორადი მასალა საჭიროა მიმაგრებული იქნეს მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ პირზე.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2017 წლის 16 ნოემბრის N3480 მომართვის, 20 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 08 იანვრის №50-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად დარჩენილი მეორადი სამშენებლო მასალები მოვლა-პატრონობის მიზნით მიემაგროს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ აჭარისადმართში, სკურდიდსა და ცხემლარაში გელა მალაყმაძეს.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას (ა.ბაჟაშვილი) უზრუნველყოს ბრძანებაში დასახელებული მეორადი სამშენებლო მასალები შესაბამის პირზე მიკუთვნება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი გაცნობიდან ერთვი თვის ვადაში, სადაც მხარეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია.

4. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა



